# 1 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXI კვირა [I] მღ

2012 შაბათი

I კორ I,26-31; ფს 32; მთ 25,14-30

## ვინც იქადის, უფლით დაიქადოს I კორ I,31

წმ. პავლეს ეს წინადადება წმ. თერეზა მცირეს მაგონებს. თავისი ავრობიოგრაფიის დასაწყისში, რომელიც მან წინამძღვისადმი მორჩილების გამო დაწერა, ის ამბობს, რომ არ სურს დამალოს უამრავი მადლი, რომელიც ღმერთმა მისცა მას, ჯერ კიდევ პატარა ასაკში. უბრალოებით, მადლიერებითა და სიხარულით, რაც ჭეშმარიტი თავმდაბლობის ნაყოფია, მოჰყვება ღმერთის ნამოქმედარზე მასში. მხოლოდ ის, რომელიც ნამდვილად თავმდაბალია ხარობს უფალში და აქებს მას მისი სასწაულებისათვის.

# 2 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXII კვირადღე, «ბ» [II] მწ

## 2012 კვირა

მსჯ 4,1-2.6-8; ფს 14; იაკ 1,17-18.21-22.27; მარ 7,1-8.14-15.21-23

# ეს ერი თაყვანსა მცემს ბაგეებით, მისი გული კი შორსაა ჩემგან მათ 7,6

**გმადლობ იესო, რომ ხარ ჭეშმარიტი ნათელი შენი ხალხისთვის, ყოველი ადამიანისათვის, ჩემთვის! ნამდვილი კულტი, რომელიც შესაძლოა მივუძღვნათ ღმერთს, არის ჩვენი გულის მიმართვა მისი გულისაკენ, რათა მივიღოთ მისი სიყვარული და გვიყვარდეს, როგორც მას! ღმერთი მამაა, სიყვარულია!**

# 3 სექტემბერი

რიგ. ქ. XXII კვირა [II] თ
წმ. გრიგოლ დიდი, პაპი და მოძ., †604 (მ);
(21.VIII) წმ. სარმეან კათალიკოსი

2012 ორშაბათი

I კორ 2,1-5; ფს 118; ლკ 4,16-30

## არც ერთი წინასწარმეტყველი არაა მიღებული თავის სამშობლოში ლკ 4,24

მოდი სულო წმიდაო, მომეცი მამის სიყვარული! ყოველი სიტყვა, ჟესტი, რომელსაც გავიღებ დღეს, გამოვიდეს ამ სიყვარულიდან: მზად ვარ ვიტანჯო იესოსთან ერთად, იმათი გაზრდისათვის ვინც ჩემს ახლოს არის.

# 4 სექტემბერი

რიგ. ქ. XXII კვირა [II] მღ

# 2012 სამშაბათი

I კორ 2,10-16; ფს 144; ლკ 4,31-37

## გაოცებულნი იყვნენ მისი მოძღვრებით ლკ 4,32

გაოცებულნი იყვნენ, რადგან დღევანდელი სახარება ასე გრძელდება: „მისი სიტყვა ძალმოსილებით იყო“. გმადლობ იესო შენი ძალმოსილებისათვის: შენს მსახურთა მიერ მრავალჯერ გითქვამს ჩემთვის, რომ ვიყო მშვიდად, და სიმშვიდემ ნამდვილად აავსო ჩემი გული!

5 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXII კვირა [II] მწ

ნეტ. დედა ტერეზა კალკუტელი, მოწყალების მისიონერ დედათა კონრეგაციის დამაარსებელი

2012 ოთხშაბათი

I კორ 3,1-9; ფს 32; ლკ 4,38-44

## ღვთის თანამოღვაწენი ვართ I კორ 3,9

წმ. პავლე უსწორებს კორინთელ ქრისტიანებს; ისინი ვარდებიან იმ საფრთხეში, რომ უფრო მეტს მნიშვნელობას ანიჭებენ იმათ, ვინც აუწყებს სახარებას, და მზერას არიდებენ იესოს. შესაძლებელია საპირისპირო საფრთხეში ჩავარდნაც... სულმაწმიდამ მოგვმადლოს ჯანსაღი, წმიდა, ყოველთვის თავმდაბლობით და მადლიერებით გაჯერებული ურთიერთობა იმათთან, ვისაც იესო გვიგზავნის თავისი სახელით, რათა გავიზარდოთ მასში!

# 6 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXII კვირა [II] მღ

2012 ხუთშაბათი

I კორ 3,18-23; ფს 23; ლკ 5,1-11

## ყველაფერი მიატოვეს და გაჰყვნენ მას ლკ 5,11

პეტრეს, ანდრიას, იაკობის და იოანეს ნაბიჯი არ არის განკუთვნილი ოდენ სასულიერი პირებისთვის, რომლებიც მიჰყვებიან იესოს ბერმონაზვნობის გზით, ამის გაკეთება ყველას შეუძლია, ვისაც უფლის შეცნობა სურს. ალბათ შენც, ყოველდღე ტოვებ ყოველივეს შენს გულში და მიჰყვები მას, გრძნობ სურვილს მისცე მას პირველი ადგილი შენს ცხოვრებაში და მიენდო მას.

# 7 სექტემბერი

რიგ. ყ. XXII კვირა [II] მღ

# 2012 პარასკევი

I კორ 4,1-5; ფს 36; ლკ5,33-39

## ჩემი განმსჯელი უფალია I კორ 4,4

ამ სიტყვებით გვესმის თუ რა სულის თავისუფლებას და სისპეტაკეს ანიჭებს უფალი თავის წმიდანებს. ისინი მთელი გულით ემსახურებიან თავიანთ მოყვასებს და თავიანთი ნამოქმედარისთვის სამაგიეროს არც კი ელიან; მხოლოდ მათი უფალი „რომელიც არ უყურებს გარეგნობას არამედ გულს“, განსჯის მათ საქმეებს სიყვარულის ჭეშმარიტებით.

# 8 სექტემბერი

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა
(დ) [ს] თ

2012 შაბათი

მიქ 5,1-4 (ან: რომ 8,28-30); ფს 86; მთ 1,1-16.18-23

ვალეს ეკლესიის დღესასწაული

## დაარქმევ მას სახელად იესოს მთ 1,21

შენს დღესასწაულზე, უტკბილესო დედაო, ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერ მოგართმევთ: ჩვენც დავუძახებთ შენს შვილს, როგორც პირველად შენმა ქმარმა იოსებმა უწოდა მას: „იესო, იესო...“ ამ სახელით გულში დახსნილნი ვართ, მამის გულში ვართ, და ჩვენთვის ამაზე მეტი სიხარული არ არსებობს!

# 9 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXIII კვირადღე, «ბ» [III] მწ

## 2012 კვირა

ეს 35,4-7; ფს 145; იაკობ. 2,1-5; მარ 7,31-37

# ყრუებს ასმენინებს და მუნჯებს ალაპარაკებს მარ 7,37

დღეს უფლის დღეა, საკრებულოებში ვიკრიბებით იესოს ირგვლივ, რადგან ჩვენც ცოტათი ყრუ-მუნჯნი ვართ. მისი სიტყვის და პურის გატეხვაში ის იმეორებს ჩვენზე: „ეფათა! განიხსენ!“. ამ კვირის განმავლობაში ცოტათი მეტად შევძლებთ ვემოწმოთ მას: ყოველთვის სიტყვებით თუ არა, ცხოვრებით მაინც.

# 10 Ⴑ Ⴄ Ⴕ Ⴒ Ⴄ Ⴋ Ⴁ Ⴄ Ⴐ Ⴈ

რიგ. ქ. XXIII კვირა [III] მღ

(28.VIII) წმ. მოწამე შუშანიკი

# 2012 Ⴍ Ⴐ Ⴘ Ⴀ Ⴁ Ⴀ Ⴇ Ⴈ

I კორ 5,1-8; ფს 5; ლკ 6,6-11

## განწმიდეთ ძველი საფუარი, რათა იყოთ ახალი ცომი I კორ 5,7

ეს ის მოწვევა, რომელსაც ვღებულობთ პასექის დღესასწაულზე, რათა ავღნიშნოთ იესოს აღდგომა ნამდვილად ახალი ცხოვრებით. ეს განახლება არ უნდა ავამოქმედოთ წელიწადში ერთხელ, არამედ ყოველდღე და მთელი დღის განმავლობაში.

მოდი, სულიწმიდაო, დამეხმარე ამოვძირკვო მიდრეკილებანი, ჩვევები, ჩემი თავკერძა მეს თვალთმაქცობა და ამპარტავნება!

# 11 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXIII კვირა [III] მღ

2012 სამშაბათი

I კორ 6,1-11; ფს 149; ლკ 6,12-19

## მთელი ღამე ღვთისადმი ლოცვაში გაატარა ლკ 6,12

აქედან ვხვდებით, რომ იესოსთვის მამასთან ერთობა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, მისი ცხოვრება! ამ ერთობიდან, როგორც წყაროდან ცოცხალი წყალი, ჩქეფდა იესოს ყოველი ,სიყვარული' ადამიანებისადმი: სიყვარული, რომელიც იყო სიბრძნე, სიყვარული, რომელიც იყო ძალა, სიყვარული, რომელიც ჰკურნავდა და ანიჭებდა ახალ სიცოცხლეს! გმადლობ იესო, იმ დროისათვის შენს მამასთან რომ ,კარგავდი' ჩვენთვის!

# 12 სექტემბერი
რიგ. ჟ. XXIII კვირა [III] მწ

მარიამის უწმინდესი სახელი

2012 ოთხშაბათი

I კორ 7,25-31; ფს 44; ლკ 6,20-26

## თუ შეერთებული ხარ ცოლთან, გაყრას ნუ ეძებ I კორ 7,27

ქრისტიანი ემორჩილება ღმერთს და არა თავის გრძნობებს. მათ შეუძლია გაანადგურონ ყველაფერი, რაც თავად ადამიანს შეუქმნია და რაც ღმერთს მიუცია მისთვის. გრძნობები იქცევა ცდუნებად. დაქორწინებულს განსაკუთრებული მისია აკისრია: იცხოვროს ღმერთის სიწმინდეში როდესაც საკუთარ თავს უძღვნის მეუღლეს გაფანტვის გარეშე. გაფანტვა შეიძლება იყოს სხვისთვის გულისთქმით შეხედვა, მაგრამ აგრეთვე იმ „კეთილი“ საქმეებითაც დახვავება, რაც ადამიანს აშორებს ოჯახს.

# 13 სამშაბათი

რიგ. ყ. XXIII კვირა [III] თ

წმ. იოანე ოქროპირი, ეპ. და ეკ. მოძ.,†407(მ)

2012 ნოემბერი

I კორ 8,2-7.11-13; ფს 138; ლკ 6,27-38

## გიყვარდეთ თქვენი მტრები ლკ 6,27

ბოროტება, რომელსაც ვღებულობთ მომდინარეობს უფლისა და ადამიანის საერთო მტრისაგან, რომელიც არ წყვეტს ზიზღისა და ტანჯვების თესვას გულებში. იესოს და მისი სიყვარულისთვის გვსურს დავეხმაროთ ასეთი გულებს ღვთიური სიყვარულის ბალზამი... იქ, სადაც ვხვდებოდით მტრებს, სიხარულით ვნახავთ ძმებს!

# 14 ႱႤႵႲႤႫႡႤႰႨ

ჯვართამაღლება (დ) [ს] წ

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

რიცხ.21,4-9 ან, ფლპ 2,6-11; ფს 77; ; იო3,13-17
უნწის საკრებულოს დღესასწაული.

## დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე ფლპ 2,8

იესო დღეს მადლიერებით ვუცქერით შენი სიყვარულის უმაღლეს მომენტს! წმ. პავლე გვეხმარება ამ სიყვარულის აღმოჩენაში, რომელიც იცხოვრე შენ დღითი დღე, ჯვარცმამდე: შენ არასოდეს ეძებდი შენს თავს, არამედ ეძღვნებოდი მამას, რათა როგორც მორჩილ ძეს აღგესრულებინა მისი ნება. და მაშინ, როცა შენ უძღვნიდი მამას შენს ნდობასა და გულს, ჩვენამდე აღწევა მისი სიფაქიზე და სიცოცხლე. გმადლობ იესო!

# 15 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXIII კვირა

მგლოვიარე ნეტ. ქალწ. მარიამი (მ) [ს] თ

2012 შაბათი

ებრ. 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 (ან. ლკ 2,33-35)

არალში «ფარეხას» სამლოცველოს დღესასწაული

## ქალო, აჰა, შენი ძე იო 19,26

**მარიამ, დღეს ვხედავთ, რომ სულიწმიდის დახმარებით ბოლომდე აღასრულებ იმ დავალებას მამამ რომ დაგაკისრა: იესოს გვერდით იყავი ჯვრამდე! ახლა კი თვით იესო გაძლევს შენ ახალ დავალებას: იყო იოანეს, ყოველი მოწაფის, ეკლესიის დედა! შენ, მორჩილებით იღებ და... შენს მსახურებაში პოვებ იესოს, რომელიც გეგონა რომ წაგერთვა!**

# 16 სექტემბერი

რიგ. ქ. XXIV კვირადღე, «ბ» [IV] მწ

## 2012 კვირა

ეს 50,5-9; ფს 114; იაკ 2,14-18; მარ 8,27-35

მამა მ. თამარაშვილის მოხსენიება (†1911)

# თქვენ რაღას იტყვით, ვინ ვარ მე?... შენ ქრისტე ხარ მარ 8,29

წმ. პეტრე მიხდვა, რომ იესო იყო ის, ვისაც ელოდნენ, მესია; მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა დარჩენილი მის გასაცნობად... შენთან ცხოვრებით იესო, ყოველდღიურად მეც ვღებულობ სულს, რომელსაც შენ გულით ატარებ; გიმზერ, როგორ კვდები ჩემი სიყვარულისთვის და როგორ აღდგები... ნელნელა გიცნობ და მიყვარხარ!

# 17 ႱႤႵႲႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXIV კვირა [IV] მჳ

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპ., მოძ. †1621

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

1კორ 11,17-26; ფს 39; ლკ 7,1-10

## უფალო, ნუ გაირჯები! არა ვარ ღირსი... ლკ 7,6

იესო მზად იყო, არა მხოლოდ „გარჯილიყო“ ასისთავის სახლში მისვლით, არამედ იგი გაისარჯა ჩემთვის ჯვარზე ასვლით! ნამდვილად იესო, მე არ ვარ იმ სიყვარულის ღირსი, რომელსაც შენ მიძღვნი; არადა, რაოდენ მომთხოვნი ვარ შენსა და სხვათა მიმართ...

„ღირსი არ ვარ, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე“. დაე, ეს სიტყვებმა დამეხმაროს გავიზარდო ჭეშმარიტ თავმდაბლობასა და მადლიერებაში! გმადლობ, იესო!

# 18 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXIV კვირა [IV] მღ

## 2012 სამშაბათი

I კორ 12,12-14.27-31; ფს 99; ლკ 7,11-17

### **ნუ სტირი** ლკ 7,13

იესო ეუბნება, ნუ ტირიო, ქალს, რომელიც გლოვობს თავისი ერთადერთი შვილის გარდაცვალების გამო. იესოს ყველაზე მეტად ესმის იმ ქალის ტკივილი და ამიტომ სურს დაამშვიდოს იგი. იგი მოვიდა სწორედაც რომ სიკვდილის დასამარცხად — ამისთვის მიდის იერუსალიმისკენ — და იმ დედას, თანალმობის გამო, წინასწარ ანიჭებს თავის მოახლოებულ გამარჯვებას.

# 19 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXIV კვირა [IV] მწ

წმ. იანუარიუსი, ეპ. და წამ., †IVს

# 2012 ოთხშაბათი

I კორ 12,31-13,13; ფს 32; ლკ 7,31-35

## სიყვარული არასოდეს მთავრდება I კორ 13,8

არსებობს მრავალი და განსხვავებული მსახურება, რისი აღსრულებაც შეგვიძლია ეკლესიაში, დავხარჯოთ ძალები და ნიჭები, რომელიც უფლისგან მიგვიღია. ოღონდ, ყოველ მსახურებაში სიყვარულია ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: სიყვარული, რომელსაც ვღებულობთ უფლისაგან, ის სიყვარულია, რომელსაც ვუძღვნით მას. თუ ვასრულებ საღვთო მსახურებას სიყვარულის გარეშე, ვახდენ მის პროფანაციას! სიყვარულია, რომელიც სამუდამოდ რჩება და წმიდაჰყოფს ყოველ ქმედებას!

20 სექტემბერი
რიგ. ქ. XXIV კვირა [IV] წ
წმმ. ანდრეა კიმ ტაეგონის, პავლე ხონგჰა-
სანგისა და მეგ., წამ. (მ) †1839-1866

2012 ხუთშაბათი

I კორ 15,1-11; ფს 117; ლკ 7,36-50

# შენმა რწმენამ გიხსნა შენ ლკ7,50

„შენმა რწმენამ გიხსნა შენ“, ანუ, შენმა სასოებამ ჩემში, შენმა ჩემთან მოსვლამ, ყველას თვალწინ მამაცობითა და თავმდაბლობით, შენი სიყვარულისა და სინანულის ჩვე-ნებით, იმის გამო, რომ მიმიჩნია ადამიანთა ქებაზე თუ ძაგებაზე უფრო მნიშვნელოვნად. მე გიხსნი შენ, მსურს წამოგაყენო ნუგეშისმცემელი სიტყვით: „შენმა რწმენამ გიხსნა შენ“.

# 21 სექტემბერი

წმ. მათე, მოც. და მახარ. (დ) [ს] წ

2012 პარასკევი

ეფ 4, 1-7.11-13; ფს 18; მთ 9, 9-13

## მოიქცეთ იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოწოდებულნი ხართ ეფ 4,1

ყოველი ქრისტიანი, იესოს ყოველი მოწაფე, მოხმობილია უფლისაგან, ისევე როგორ მათე, რომელსაც ვიხსენებთ დღეს: მისი სიყვარულის უანგარო მადლი! ამ მოხმობამ გადაიყვანა ის სიბნელიდან სინათლეში, სიკვდილიდან, სიცოცხლეში, ცოდვის სევდიდან სისავსით სიყვარულის მიღებისა და გაცემის სიხარულში. გმადლობ იესო! მომიტევე და დამეხმარე რომ ვიყო შენი ღირსი! დღეს განსაკუთრებით მსურს ვიყო მადლიერი და გახარებული!

# 22 სექტემბერი

რიგ. ქ. XXIV კვირა [IV] მღ

2012 შაბათი

I კორ 15,35-37.42-49; ფს 55; ლკ 8,4-15

## გამოვიდა მთესველი თავისი თესლის დასათესად ლკ 8,5

**გმადლობ იესო რომ ჩემშიც დათესე თესლი, ახალი სიცოცხლე! დღეს მსურს დავიცვა ეს მადლი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი საგანძური: ყოველჟამს შენთან ვიცხოვრებ, როგორც ზეციური მამის ძე!**

# 23 სექტემბერი

რიგ. ქ. XXV კვირადღე, «ბ» [I] მწ

# 2012 კვირა

სიბრ2,12.17-20; ფს53; იაკ3,16-4,3; მარ9,30-37(29-36)

## თუ ვინმეს უნდა პირველი იყოს, ის იქნება ყველაზე უკანასკნელი მარ 9,35

იესო, ეს შენი სიტყვა მნიშვნელოვანია. შენ მოგვეცი მაგალითი და გვაძლევ ძალას, რომ ვიცხოვროთ მისი მიხედვით. მხოლოდ სიყვარული და თავმდაბლობის გზის გავლით შევძლებთ მივიდეთ მამასთან და ამდაგვარად მივიღოთ „პირველი“ ადგილი, რომელიც მან ყოველი ჩვენგანისათვის მოამზადა!

# 24 ႱႤႵႲႤႫႡႤႰႨ

რიგ. ქ. XXV კვირა [I] მღ

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

იგ 3,27-35; ფს 14; ლკ 8,16-18

## ნუ განიზრახავ შენი მოყვასისათვის ბოროტს იგ 3,29

მოყვასისადმი სიყვარულს — და სამწუხაროდ გაყოფასაც — ფესვები ადამიანის გულში აქვს გამდგარი. ამიტომ იესო, ხშირად და სხვადასხვა გზით გვიხმობს დავიცვათ ჩვენი გული: ის იქნება სპეტაკი მის თვალში, თუკი მასში მხოლოდ კეთილმოსურნეობისა და გულმოწყალების აზრებს შევუშვებთ.

# 25 სექტემბერი

რიგ. ქ. XXV კვირა [I] მღ

2012 სამშაბათი

იგ 21,1-6.10-13; ფს 118; ლკ 8,19-21

## უფალია რომ სწონის გულებს იგ 21,2

გმადლობ, მამაო: შენ მე ჩემზე კარგად მიცნობ! უდიდესი ნდობით, შიშის გარეშე შემიძლია მოგანდო ჩემი გული, ჩემი სურვილი ვიყო ისეთი როგორიც შენ გსურს. მოავლინე შენი სული ჩემი გულის განსაწმენდად, სანამ მე საყვარელ ძედ ვიქცევი და ვიქნები მათ შორის ვინც ისმენს შენს სიტყვას.

# 26 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXV კვირა [I] მწ

წმ. დიდმოწამე ქეთევანი, (†1624წ.)
წმიდანი კოზმა და დამიანე, წამ. †IVს;

2012 ოთხშაბათი

იგავ. 30,5-9; ფს 118; ლკ 9,1-6

ნეტარი ლუიჯი ტეცა – წმ. კამილოს ასულთა კონგრეგაციის დამაარსებელი.

## მიავლინა ისინი ღვთის სასუფევლის საქადაგებლად ლკ 9,2

**ჩვენ, რომლებსაც გვიყვარს იესო საკვირაო ევქარისტიისას შევიმოსებით სიყვარულითა და ძალით და მოვემზადებით მამის მამობის გასაცხადებლად. ამისათვის ვხარობთ და ვცხოვრობთ იესოსთან!**

# 27 სექტემბერი

რიგ. ჟ. XXV კვირა [I] თ

წმ. ვიკენტი დე პოლი, ხუც.,†1660 (მ)

2012 ხუთშაბათი

ეკლ 1,2-11; ფს 89; ლკ 9,7-9

## ამაოებათა ამაოება!
## ყოველივე ამაოებაა! ეკლ 1,2

მართალია; ყოველივე, რისი განხორციელებაც შეუძლია ადამიანს ოდენ თავისი ძალებით, წარმავალია! არადა — ჰოი, საოცრებავ! — მამისადმი მიძღვნილი, ქრისტეში აღსრულებული უმცირესი ქმედებაც კი, თითეული ამოსუნთქვაც კი სამუდამოდ დარჩება!

იესო მაცხოვარო, მიიზიდე ყოველი ადამიანი შენთან!

# 28 სექტემბერი

რიგ. ქ. XXV კვირა [I] მწ
წმ. ვიჩესლავი, წამ. †935; წმმ. ლავრენტი რუის და
მეგ., წამ. †1633–35; (15.IX) წმ. იოსებ ალავერდელი

2012 პარასკევი

ეკლ 3,1–11; ფს 143; ლკ 9,18–22

## ყოველივე მშვენივრად შექმნა ეკლ 3,11

დიახ მამაო! შენ სიყვარული ხარ, ამიტომ ყოველი შენი ნამოქმედარი მშვენიერია: რადგან მოაქვს სიცოცხლე! დღეს მსურს მადლობა მოგიძღვნა ყველაფრისათვის, აგრეთვე იმ ფარული სიყვარულისათვის, რომელსაც მე ცოდვილს ჯერ კიდევ არ შემიცვნია!

29 სექტემბერი

წმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ
მთავარანგელოზნი (დ) [ს] თ

2012 შაბათი

დან7,9-10.13-14;(ან:გამოცხ12,7-12) ფს137; იო1,47-51

## საიდან მიცნობ? იო 1,48

ნათანაელი გაოცებულია, რომ იესო იცნობს მას და შეუძლია მასზე დასკვნების გაკეთება. იესომ თქვა: „აჰა, ნამდვილი ისრაელიანი, რომელშიც არ არის მზაკვრობა“. ჩვენ გვწამს რომ იესო ღვთის ძეა. ვიცით რომ მან ჩვენზე მეტი იცის ჩვენზე და გაოცებულნი ვართ იმ სიყვარულის გამო, რომელსაც გვაძლევს. წმინდა ანგელოზებიც, რომლის დღესასწაულს დღეს ავღნიშნავთ უფლის სიყვარულის მაუწყებლები არიან.

30 ႱႤႵႲႤႫႡႤႰႨ

რიგ. ჟ. XXVI კვირადღე, «ბ» [II] მწ

2012 ႩႥႨႰႠ

რიცხვ. 11,25-29; ფს 18; იაკობ. 5,1-6; მარ 9,38-43.45.47-48

# ვინც ჩვენი წინააღმდეგი არ არის, ის ჩვენთან არის მარ 9,40

საკრებულო, რომლის წევრიც ვარ და აგრეთვე ჩემი ცალკეული ძმაც, ზოგჯერ მეტ კეთილგანწყობას ხვდება ‚უცხოებისაგან', იმათგან, ვინც ერთი შეხედვით არაა ჩვენი რწმენისა, ან მთლად წესივრად არ ცხოვრობს. გმადლობ იესო რომ აჯილდოვებ შენიანებისთვის სიყვარულით გაკეთებულ უმცირეს საქმესაც კი; და რითი დააჯილდოებ თუ არა შენმიერი ხსნით?